**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, დუშეთის რაიონული სამმართველოს, ჟინვალის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის საპროექტო მომსახურების საკონკურსო კომისიის სხდომის**

# ო ქ მ ი №3

ქ. მცხეთა 20.04.2012 წელი

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე:

საქართველოს შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი- ი. აბაშიძე.

კომისიის წევრები -

მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – გ. გოგსაძე; მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (სახელმწიფო შესყიდვების ხაზით) –ი. უტურაშვილი; მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (ბუღალტერ-ხაზინადარი) ი. ხუჭუა, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (იურისტკონსულტი) მ. დოლონაძე; მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტი (სახელმწიფო შესყიდვების ხაზით მ. მარქარაშვილი.

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, დუშეთის რაიონული სამმართველოს, ჟინვალის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 11 აპრილს (18:22) გამოცხადებულ № 416 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება.

განიხილეს:

შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ 2012 წლის 11 აპრილს (18:22) გამოცხადებულ № 416 კონკურსში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა მონაწილემ შპს "ესსა"-მ. და შპს "არქმშენპროექტმა".

შპს "არქმშენპროექტი"-ს მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი იქნა საპროექტო შენობის ექსტერიერის ვიზუალური სახე (რენდერი), ხოლო გეგმარების ვარიანტის სქემატური გადაწყვეტა და განმარტებითი ბარათი არ იყო წარმოდგენილი.

შენობა წარმოადგენს ორ სართულიან ნაგებობას, რომელიც გადახურულია პარაპეტის სიმაღლეში დაფარული ბრტყელი ან მცირე ქანობიანი სახურავით. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე სასურველი არ არის აღნიშნული ტიპის სახურავის მოწყობა.

კომისიის მოწვეული წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი წინადადების ვიზუალური მხარე არ შეესაბამება კონკრეტულ გარემოს და არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შპს "ესსა"-ს მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი იქნა საპროექტო შენობის ექსტერიერის ვიზუალური სახე (რენდერი), აგრეთვე გეგმარების ვარიანტი და განმარტებითი ბარათი, რომელშიც განმარტებულია თუ რა ტიპისა და სახის სამუშაოებია გათვალისწინებული რენდერში და გეგმაზე წარმოდგენილი ნაგებობის მისაღებად.

კომისიის მოწვეული წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი წინადადების ვიზუალური მხარე და გეგმარებითი გადაწყვეტილება აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. საკონკურსო კომისიის წევრებმა მოახდინეს პრეტენდენტების შეფასება, საქართველოს შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, დუშეთის რაიონული სამმართველოს, ჟინვალის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ № 416 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს "ესსა"

3. დაევალოს საკონკურსო კომისიას შპს "ესსა"-ს წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მომზადება, ხელშეკრულება გაფორმების შემდეგ ატვირთული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. დაევალოს საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება.

საკონკურსო კომისის თავჯდომარე: ი. აბაშიძე

კომისიის წევრები: გ. გოგსაძე

ი. უტურაშვილი

ი. ხუჭუა

მ. დოლიძე

მ. მარქარაშვილი

მოწვეული პირები:
საქ.შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
მთავარი სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფისა
და მატერიალური რესურსების მართვის სამმართველოს
შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების
ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის
მთავარი სპეციალისტი:

სერგო ნაზაროვი

ამავე სამსახურის წამყვანი სპეციალისტი:

გიორგი წიკლაური